




საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში,
ბეჭდებიც ბეჭდუდნი სიფყვას,
ცყელილებით და ჭაბუბით ბუბთის
გაცანა ყველა უკადრისმბაგე
უსამაგლესია.

 **დაარსებულია**
1918 წელს. 

სუთხაბათი, 8 აპრილი, 2013 წელი.

№149 (7276)

რუსულენოვანი

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

ახალი ქართულ-რუსული პარადიგმა აპრილში მის მხრითა და წლისთავზე



არჩევანი ცულს, ხელეჩოს, ნაღდსა და ქლიბს უორის

*შეშინებულნი თაგვის ფერი
ვლო და დანა-ჩანგლით იომე-
თო, მოგვიწოდებდა...* ③

„რაც დრო გადის, მით უფრო უახლოვდება მიზანს სიხის კარებს“... ⑤

აღამიანის ⑦ ეპოიზმი ჭამს სახელმწიფოს!..

ქვემო ქართლს ღვასაც ვაჟა ლილუაშვილი აკონტროლებს? ⑦

ქართველმა პოლიტიკოსებმა კვლავ დაიწყეს
⑧ სამუოხლოს გაყიდვებითა ძებნა



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..

და დღეს იყო ომი...

ახალი ქართულ-რუსული პარადიგმა აბხაზეთის ომის მეხუთე წლისთავზე

საბარტოველი რუსეთ-საქართველოს ომის მეხუთე წლისთავი წელს პირველად აღინიშნება ახალი ხელისუფლების ვითარებაში. როგორც მოსალოდნელი იყო, უკვე აშკარაა ამ თვალსაზრისით რამდენიმე არსებითი სხვაობა სააკაშვილისა და ივანიშვილის ხელისუფლების მიდგომებში. წინა წლებისგან განსხვავებით, ომის წლისთავის აღნიშვნას აღარ ახლავს ისეთი პომპეზური პიარაქციები, როგორც ადრე იყო და, რაც მთავარია, რუსეთის მიმართებით ახალი ხელისუფლება უფრო მორიდებით ხმარობს ტერმინ „ოკუპანტს“. სამაგიეროდ, ქართული ეკლესიის მეთაური ლაპარაკობს უფრო ხმაბლდა ერთმორწმუნე ერების სულიერ ძობაზე, რასაც კრემლის ლიდერების მხრიდან საკომპენსაციო ქატიანაურები და გაურკვეველი დაპირებები ახლავს.

ქნელად სათმელი, მამრამ „გაბედული სიტყვები“

მზონ როცა თბილისის საინფორმაციო პოლიტიკა რუსეთის მიმართ სულ უფრო თავშეკავებული და ზედმეტად ფრთხილია, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მეხუთე წლისთავზე საერთაშორისო არენაზე კრემლმა მცირე იდეოლოგიურ უბრატესობას უკვე მიაღწია. აგვისტოს კრემლის მიერ კონტროლირებადმა ინფორმაციულმა ტელეკომპანია „Russia Today“-მ „პრაიმ-ტაიმში“ უჩვენა ერთსაათიანი ინტერვიუ რუსეთის პრემიერ-მინისტრ დმიტრი მედვედევთან. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის პრეზიდენტმა და ამჟამად ქვეყნის მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ გაიხსენა ომის დაწყების წინა პერიოდი, ესკალაციასა და ფართომასშტაბიანი ომის განაღდება და დადანიშნულა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, გაამართლა რუსეთის არმიის მოქმედება და ქართული სამხედრო პოტენციალის განადგურება, მაღლიერებით აღნიშნა, რომ, თურმე, საერთაშორისო საზოგადოებაც, ბოლოს და ბოლოს, დარწმუნდა კრემლის მოქმედების მართებულობა და ამ კონტექსტში მადლიერებით მოიხსენია საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი:


„და მხოლოდ ახლა, სხვადასხვა კომისიების – მათ შორის, ტალიავინის კომისიის – მუშაობის შემდეგ, იმ ანალიზის შემდეგ, რაც ჩვენმა საგამოძიებო სტრუქტურ-

„იმას, რომ მე სააკაშვილს ვადანაშაულებ უგუნურ ქცევებში და გაუაზრებელ მოქმედებებში, ეს გადაიტანეს თითქოს საქართველოს ვადანაშაულებ. ჯერ საქართველო ომს ვერ დაიწყებდა, რამდენადაც ომი საქართველოს ტერიტორიაზე იყო, და მერე, მე სიტყვა „საქართველომ ომი დაიწყო“ არც მისსენებია და არც ვახსენებ. მე ვადანაშაულებ ერთ კაცს და მის იდეოლოგიას, ეს გახლავთ სააკაშვილი, რომელიც მოიქცა უსუსურად და უგუნურად იმ პროცესებში, რომელიც განვითარდა აგვისტოში“.

აღნიშნული განცხადება კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა 2012 წელს ტელეკომპანია „თრიალეთთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ომის დაწყების მეოთხე წლისთავის წინა დღეებში გააკეთა.

მაგრამ როცა ქვეყნის პრეზიდენტს ადანაშაულებ „გაუაზრებელ ქმედებებში“, ეს მნიშვნელოვანი საბუთია მონინალმდევისათვის, რადგან პრეზიდენტები ასოცირდებიან ქვეყნებთან და განაწყვეტილებას ქვეყნის სახელით ლეზულობენ. ცხადია, ამ სიტყვებისთვის მაღლიერა დმიტრი მედვედევი, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დაწყების ბრძანებაც სწორედ ქვეყნის სახელით მიიღო, როგორც იმხანად რუსეთის პრეზიდენტმა და ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა.

გასაგებია, რომ სააკაშვილი წარმავალია და მას შეიძლება „ყველა ცოდვა აჰკიდოს“.



წინა ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკა ემყარებოდა. ეს ტერმინი ტელეკომპანია „მაგისტროს“ პირდაპირ ეთერში კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა ახსენა და ასე განმარტა განსხვავება ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის.

„ამ ხელისუფლებამ სულ რამდენიმე თვეში დაანგრია ის პარადიგმა, რომელსაც ცხრა წლის განმავლობაში თავში გვიტყუნდნენ ყოფილი ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკური იდეოლოგიები, რომ თურმე ევროპისკენ სვლა არის აუცილებლად რუსეთთან დაპირისპირების წინაპირობით. ჩვენ ვაჩვენებთ, რომ შეგვიძლია და ეს ნათლად ჩანს პრემიერ-მინისტრის საგანგებო წარმომადგენლის მუშაობაში, რომელსაც უკვე აქვს შედეგები... ჩვენ შევძელით და საქართველოს ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანესი რუსეთის ბაზარი გავხსენით (ქართული ღვინისა და მინერალური წყლებისთვის) და ამ დროს არც ერთი იოტი არ არის დაკარგული ევროპასთან,

კვირძალზე იმეოვებოდა მოსკოვში და იქიდან ძალიან იმედიანად დაბრუნდა.

„მქონდა შესვენება რუსეთის პატრიარქთან, მქონდა საუბარი პრეზიდენტ პუტინთან. მთავარი რაც არის, დაიძრა საკითხი ჩვენი ლტოლვილების. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვეთ, რომ ლტოლვილები უნდა დაბრუნდნენ თავიანთ ოჯახებში, თავიანთ სახლებში. ასე რომ, ღვთის იმედით ვართ და ვფიქრობთ, რომ კარგად წარიმართება ეს საკითხი“, განაცხადა 29 ივლისს, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, ილია მეორემ.

იმას, რისკენაც ჩვენ ვისწრაფვით და რაც აუცილებლად უნდა მოხდეს, ჩემი აზრით, დასჭირდება უფრო მეტი დრო, რათა დავალაგოთ და აღვადგინოთ ის მეგობრული ურთიერთობები, რაც ჩვენ გვქონდა რუსეთთან. ამას დასჭირდება დრო, ხანგრძლივი დრო... ბიძინა ივანიშვილი

„ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“, – ამბობენ საქართველოში. აშკარაა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის მეხუთე წლისთავზე საქართველოში ერი, ანუ ახალი ხელისუფლება, და ღმერთი, ანუ საქართველოს ეკლესია, ერთ ხმაში ლაპარაკობენ და ასე ერთიანი ძალისხმევით იქმნება კარგად ნაცნობი პარადიგმა – ევროკავშირთან მეტად დაახლოება, რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური კავშირების აღდგენის გზით.

თავისი ისტორიის განმავლობაში საქართველოს არაერთხელ უცდია ამორი შეუთავსებელი პოლუსის შეთავსება, მაგრამ საქმე ყოველთვის არაქათის გამოცლით და ერთ რომელიმე ნაპირზე ფორთხვით გასვლით დასრულდებოდა. თუმცა, საქართველოს ახალ ხელისუფლებას არ აშინებს მძიმე ისტორიული პარალელები და რაკი ქართულმა ღვინომ და მინერალურმა წყალმა უკვე გადალახა რუსეთ-საქართველოს საზღვარი, თბილისის ფიქრობს, რომ სხვა მიმართულებითაც შეძლებს წარმატების მიღწევას.

„რაც შეეხება შორეულ პერსპექტივას, იმას, რისკენაც ჩვენ ვისწრაფვით და რაც აუცილებლად უნდა მოხდეს, ჩემი აზრით, დასჭირდება უფრო მეტი დრო, რათა დავალაგოთ და აღვადგინოთ ის მეგობრული ურთიერთობები, რაც ჩვენ გვქონდა რუსეთთან. ამას დასჭირდება დრო, ხანგრძლივი დრო, თუმცა, ეს დრომ განვითარდება და ჩვენ აუცილებლად მივალწევთ და დავალაგებთ ურთიერთობებს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 5 აგვისტოს რადიოსადგურ „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში.

კობა ლიკლიკაძე რადიო „თავისუფლება“



რებმა და ჩვენმა სამხედრო პროკურატურამ ჩაატარეს, ყველა აღიარებს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. საკმარისია გავიხსენოთ, რა თქვა პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა სააკაშვილის მისამართით. მან ხომ პირდაპირ თქვა, რომ ეს ყველაფერი თქვენი პროვოცირებული იყო და თქვენ გააჩაღეთ კონფლიქტი. მისთვის, ალბათ, იოლი არ იყო ამის თქმა, მაგრამ ეს გაბედული სიტყვებია“.

იმას, რომ მე სააკაშვილს ვადანაშაულებ უგუნურ ქცევებში და გაუაზრებელ მოქმედებებში, ეს გადაიტანეს თითქოს საქართველოს ვადანაშაულებ. ჯერ საქართველო ომს ვერ დაიწყებდა, რამდენადაც ომი საქართველოს ტერიტორიაზე იყო... ბიძინა ივანიშვილი

ამ „გაბედული სიტყვების“ ავტორს, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს და მის აპარატს, არანაირი განმარტება არ გაუკეთებია რუსეთის პრემიერ-მინისტრის ამ განცხადებაზე. თუმცა, ღირს განვიხილოთ, რომ წინასწარჩვენი პერიოდშიც და არჩევნებში გამარჯვების შემდეგაც კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერს არაერთხელ საჯაროდ გაუკრიტიკებია პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის მოქმედება 2008 წლის აგვისტოს ომის დროს.

მაგრამ რას იმეებს ამით საბარტოველი?

„მე ვფიქრობ, რომ (რუსეთთან ურთიერთობაში) რაც შეიძლება და ამ მოკლე დროში, მივალწევთ და აღვადგინებთ საგარეო ურთიერთობები, რომელთა გაღრმავება და გაფართოება შეიძლება. ამას გარდა, ვფიქრობ, რომ რეალისტურად რაც შეიძლება მოჰყვება, იქნება მუდმივი ავიარეისების აღდგენა და, შესაძლოა, გამარტივდეს რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმი ან საერთოდ გაუქმდეს ის“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 5 აგვისტოს რადიოსადგურ „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში.

ამ ხელისუფლებამ სულ რამდენიმე თვეში დაანგრია ის პარადიგმა, რომელსაც ცხრა წლის განმავლობაში თავში გვიტყუნდნენ ყოფილი ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკური იდეოლოგიები, რომ თურმე ევროპისკენ სვლა არის აუცილებლად რუსეთთან დაპირისპირების წინაპირობით... გიორგი მარგველაშვილი

მოკლედ, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მეხუთე წლისთავზე შერბილდა არა მხოლოდ ქართველი პოლიტიკოსების ტონი, არამედ შეიცვალა პარადიგმა, და იმსხვრა მითი, რომელსაც საქართველოს

ევროატლანტიკურ ორგანიზაციასთან დიპლომატიის და ურთიერთობების გაღრმავების. შევძელით ეს?“

ქველი პარადიგმა ახლავს უმარტოებით

ამ ეკლესიის პარადიგმის ტრანსფორმირებაში აქტიურ მონაწილეობას ლეზულობს საქართველოს ეკლესიის მეთაურიც. რუსეთის წლისთავის 1025-ე წლისთავის საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ილია მეორე რუსეთ-საქართველოს ომის წლისთავის

ინფორმაცია

რუსეთში საქართველოსადმი სიმპათიები იზრდება

რუსეთში იმ ადამიანების რიცხვი იზრდება, რომლებსაც საქართველო ესიმპათიურება. „ინტერფაქსის“ ცნობით, ამის მიუხედავად, „ლევადა ცენტრის“ ბოლო გამოკითხვების შედეგად, რუსეთის მოქალაქეთა მეთავეზე ნაკლები მიიჩნევენ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიებად უნდა დარჩეს. გამოკითხვის თანახმად, რუსეთის მოქალაქეთა 48% საქართველოსადმი დადებითად არის განწყობილი, გამოკითხულთა 40%-ში კი საქართველო ნეგატიურ ემოციებს აღძრავს. გამოკითხვა ივლისის ბოლოს რუსეთის 45 რეგიონის 130 დასახლებულ პუნქტში ჩატარდა და 1600 ადამიანი გამოიკითხა. სააგენტოს ცნობით, სოციოლოგები აღნიშნავენ, რომ სიტუაციის განვითარების დინამიკა დადებითია. 2011 წელს საქართველოსადმი სიმპათიას რუსეთის მოქალაქეთა მხოლოდ 37% ავლენდა, 2012 წელს კი 42%.



„გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება“

პოლიტიკური პაწაწები

იქ, სადაც არიან ადამიანები, არის ღირსებაც. ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმში, გორში, თელავში და თბილისში ჩატარებულ, არცთუ მსიარულად დარჩენილ კრებებში კი ღირსების ნატამალიც არ იყო. საპარაში თოვლი არ მოდის, ანტარქტიდაში პალმა არ ხარობს. გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება!!!

არჩევანი ცულს, ხელეჩოს, ნალდსა და ქლიბს შორის

მე, საერთოდ, მეგონა, რომ გაისუსებოდნენ. აი, დაახლოებით ასე — „გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას თავს იწონებს ბუჩქმოთი“, თუმცა სულ სხვაგვარად გამოვიდა — „ტყემ მოისხა პერაშკი, აგერ ჩაქუჩიც გალობს“. და ამის შემდეგ რაღა დამრჩენია? ვგონებ, ეს — „უსიგარეტოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“.

ნაარსია. ქლიბი ხახუნის ძალასთან არის ასოცირებული და ხახუნის ძალა რომ არა, რომელი ჩვენგანი ივლიდა ამ ცოდვილ დედაძინაზე? ქლიბი სიყვარულია, სისუფთავე, მორგება ანუ დიპლომატია, დიპლომატია ანუ მოლაპარაკება, მოლაპარაკება, ანუ შეთანხმება, თანაარსებობა, კოაბიტაცია. ქლიბი მშვიდობაა. მშვიდობა რომ არა, აქ არ ვიქნებოდით. ბაქრაძე ქლიბია. რომ არა ბაქრაძე, იქნებოდა სიბნელე და უკუნი, ვერ ამოვიდოდა მზე და ვერ ამოხანათებდა, ვერ გაიხარებდა მუშა, წამებული!

ისიც — სერიოზულად დაკანონული, ხელოსანი ბევრია, მაგრამ პროფესიონალიზმის გარდა, გვარი შეიკლავს ხომ აქვს მნიშვნელობა? რა იცი, რა ხდება!

იქ კი, რა ხდებოდა, პრაიმერიზად წოდებულ უნიჭო სპექტაკლზე? გამოდიოდა ერთი და აქებდა სამს, მხოლოდ იმ სამს, მაგრამ არც ერთხელ არ გახსენებიათ ის ერთი, რომლის ხელშიც იქნენ ნალდებად, ცულებად და ქლიბებად. იქნებ, ნაწილზე კიდევ, მაგრამ რაღაც არ ეტყობათ. რა არის სინანული აღიარების გარეშე? ერთადერთი, რაც აღიარეს, იყო უყურადღებობა — რაღაც გამოჩნათ, რაღაც გამოეპარათ, რაღაც ვერ გამოვალაწინეს, მაგრამ სამაგიეროდ... „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“, „მეტი სარგებელი ხალხს“, „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“.

ისე, მაინც როგორ წამოცდებათ ხოლმე. ამას წინათ, ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ზურაბ ჯაფარიძემ (ხელეწიამ) აღნიშნა, მეც და ჩემს გარშემო ყველამ, მშენივნად ვიცოდით, ციხეებში რაც ხდებოდაო. დიას, სწორედ ეს იყო „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ და „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“. მათ ენაზე ცოცხს სარგებელი ჰქვია.

არა, მაინც როგორ წამოცდა და როგორ მოხდა, რომ არავინ კითხა, დანაშაულს რატომ მალავდით. რომც ეკითხათ, ჯაფარიძე უპასუხებდა, სამაგიეროდ, კონიაკი გვაქვს კარგიო.

არც ბარამიძეს ეკითხება ვინმე, რა მოხდა გვანეთში და როგორ ჰგონია, შეერგება თუ არა კუბდარი.

არც მალაშვილს ეკითხებიან, როგორ მოხვდა პოლიტიკაში.

არც ბაქრაძე გვეუბნება, როგორ უნდა ებრძოლა დანაშაულს და კოვზით იმ ხალხს, ვისთვისაც ნაციონალურ მოძრაობას მხოლოდ ცოცხი ემეტებათ.

ჰოდა, ახლა ქლიბი ემეტებათ. ნამდვილად არ შეჰფერის ჩვენს ეპოქას ქლიბი. არც ცული, ხელეჩო და ნალდუნა. არც წინა ეპოქას შეჰფეროდა, მაგრამ რაც იყო — იყო, რაც არ უნდა იყოს, აღარ უნდა იყოს და რომ აღარ იყოს, არ უნდა დაგვავინყდეს, რაც უკვე იყო.

ძველი ამბავია, აღარ ღირს მაგის გახსენება, წინ უნდა ვიყუროთ — როგორც კი კუთხეში მიიმწყდევ, ამ დაზეპირებულ სიტყვებს იმეორებენ.

ისე, სადაც, ეგვიტ უნდა გავითვალისწინოთ და ამიტომაც, გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება.

თან ჩვენ ხომ არ გაგვიყვია, თვითონ გაიყიდნენ.

გიგი მუსხიშვილი

შეშინებული თავის ფერი ელო და დანა-ჩანგლით იომეთო, მოგვიწოდებდა...

თასიანი არმია, მრავალგამომძიებელიანი პროკურატურა და მრავალჟურნალისტებიანი მედია, და სწორედ ამ უკანასკნელს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ნარჩენთა არჩევანი იყო გამჭვირვალე და ჩვენ თვალწინ მიმდინარეობდა პროცესი, რომელზეც უნდოდით, ეჩვენებინათ, რომ „ძალა ერთობაშია“, თუმცა მთლად ეგრე არ გამოვიდა. გამოვიდა „ქლიბი ერთობაშია“ ან „ერთობა ქლიბშია“.

აი, სწორედ ეს იყო მთავარი. ბაქრაძეს უნდა მოეგო, მაგრამ უნდა ეჩვენებინათ, რომ „ამოსარჩევი კიდევ ბევრია“.

როგორც ვხვდები, „კონკურენტები“ შესაბამისად შეურჩიეს. ჯაფარიძე განასახიერებდა ეკონომიკურ აღმავლობას და ახალ სამუშაო ადგილებს, ბარამიძე — უსაფრთხოებას და ევროინტეგრაციას, ხოლო მალაშვილა — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ლტოლვილთა დაბრუნებას.

ბაქრაძის შესახებ უკვე მოგახსენეთ — ეროვნული თანხმობა და საყოველთაო სიყვარული.

ეს ყველაფერი კარგი იქნებოდა, საუბარი ადამიანებს რომ ეხებოდა, აქ კი — ცულს მოვიტან ცუნცულასა, ხელეჩოს და ნალდუნასა. პლუს — ქლიბი.

დღის აჯისცემა

რეალური სასამართლო რეფორმა გეგმავს

საბარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი ჟვანია აცხადებს, რომ რეალური სასამართლო რეფორმა უნდა დაიწყო. როგორც გიორგი ჟვანიამ განაცხადა, ახალი მთავრობის მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა.

— ჩვენ გვაქვს სერიოზული ვალდებულება, ეს დაპირება შევასრულოთ, იმ საზოგადოების წინაშე, რომლის მრავალწლიანი და თავგანწირული ზრდასთან შედეგად წარმოვადგინეთ დღეს აქ უმრავლესობას, — განაცხადა ჟვანიამ პარლამენტში გამოსვლისას.

მისივე თქმით, 300 000 ადამიანი არის გასამართლებელი და დასჯილი სააკაშვილის რეჟიმის მმართველობის პირობებში.

— ეს არის გამოგნებული ციფრი. პრაქტიკულად გამოდის, რომ ყოველ მესამე ოჯახში ჩვენ გვყავს ზნაშაობითი ადამიანები. ვინ ახორციელებდა ყოველივე ამას, ვინ ჩადიოდა ამ უკანონობას, ამ ძალადობას? მე მგონი, სწორედ ეს სასამართლოები და ეს მოსამართლეები, რომლებმაც ამ დღებში, არაფრად არ ჩააგდეს ათეულობით დაზარალებულის ჩვენება და ბაიო ახალაიას გამოუტანეს გამამართლებელი განაჩენი. უფრო მეტიც, აშკარა არის, რომ სასამართლოები კვლავაც იმყოფებიან სააკაშვილის მონურ მორჩილებაში. ჩვენ ძალიან სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილებები გვაქვს მისაღები. აშკარა არის, რომ ის ადამიანები, რომლებიც ახორციელებდნენ ძალადობას საზოგადოებაზე და ნერგავდნენ უსამართლობას, ვერ დაამკვიდრებენ სამართალს ქვეყანაში. უნდა დავიწყოთ რეალური სასამართლო რეფორმა და არა აქვს მნიშვნელობა, ვის რეაქცია ექნება დასავლეთში ამა თუ იმ პოლიტიკოსს. ჩვენ ანგარიშვალდებული ვართ ჩვენი საზოგადოების წინაშე და მათი უპირველესი მოთხოვნაა სამართლიანობის აღდგენა, — განაცხადა ჟვანიამ.

იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი, რომლის მიზანია სასოფლო-საოჯახო მეურნეობის განვითარება, ძალაში შევიდა. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ კანონპროექტს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნასთან, სტატუსის მოპოვებასთან, შეწყვეტასთან, მონიტორინგთან და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს. კოოპერატივის საქმიანობის სფეროებია: სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, გადამამუშავება, დაფასობა, შეფუთვა, შენახვა, გადამამუშავება და რეალიზაცია.

ძალაში შესული კანონის თანახმად, იქმნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი უნდა იყოს. სააგენტო უფლებამოსილი იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭებაზე შეწყვეტასა და მონიტორინგზე. ის ასევე განახორციელებს კოოპერატივების მიმართ სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებებს.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტით გათვალისწინებულია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ შეღავათიანი საკრედიტო რესურსებისა და გრანტების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, ასევე კოოპერატივებისათვის საგადასახადო შეღავათების დადგენა.

იპოთეკაზე პოპულარული გზის გაღვივება სსაქსს

ძეგლისპოპულარული კინტირის სიდიდან, საბანკო და კერძო იპოთეკართა დაავალიანების მქონე ოჯახებმა გზის გადაკეტვა სცადეს. საპროტესტო აქციაზე ქობულეთის გარდა, ქუთაისიდან და თბილისიდან ჩასული საბანკო და კერძო იპოთეკართა დაავალიანების მქონე პირებიც იმყოფებოდნენ. საპროტესტო აქციის მონაწილეები პარლამენტის მიერ გამოცხადებულ მორატორიუმს უნდაბლობას უცხადებენ და ხელისუფლებას წინასაარჩევნო დაპირების შესრულებას სთხოვენ.

როგორც აქციის მონაწილე სათუნა ქანტურიშვილმა ურნალისტებს განუცხადა, 6-თვიანი მორატორიუმი სატყუარაა და პარლამენტი კანონის მიღებას გაურკვეველი მიზეზებით აჭიანურებს. საპროტესტო აქციაზე უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძეც იმყოფებოდა. როგორც მან განაცხადა, მოსახლეობამ გზის გადაკეტვა ერთი წუთითაც ვერ მოახერხა, რადგან აქციის პერიმეტრზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცველები.

© 2008 წლის აპრილი: ხუთი წელი გასულა!

რეპრეზენტატიული ოთხი ბანკის კე...
ლიბერალიზაციის შემდეგ დაჯილ-

ჰინს თაჰვი ბანირა...

საქართველო ვაჭრები ხაჭაპურს ეყვებიან



იპოვეს, საავადმყოფოში კი - გარდაც-

ვილი დახვდა... მიცვალებულიც კი გან-

სრულიად ახალგაზრდა, ოცი წლისა

ლია ჭილაძე

...მაღალი იყო, ახოვანი. მის ფიზიკურ
გარეგნობას შინაგანი, სულიერი სიმაღ-

ნე ჯავახიშვილის სახელობის თბილ-

ახლობლებს ახსოვთ, ოთიკოსთვის

დედამისი, ქალბატონი ფატი კიკალე-

ომი რომ დაიწყო, მაშინვე გამოგ-

ვიცხადა, უნდა წავიდეთ. არ ვუშვებდი...

რვა აგვისტოს, საღამოს ათ საათზე

ელივის სისწრაფით მოედო მთელ სა-

კიკალეშვილების ოჯახიც მომხდა-

© ინტერნეტიდან

ზალვა რამიშვილმა ფეს-

„არც მისამ და არც ვანომ
არა“?
„მისამ ისიც კი იცის, ცაში

„რას დრო გადის,
ვით უფრო უახლოვდება
ვიშა სისხის კარებს“ ...

ბინა...რაც გველის წინილები



ბაა, მან გამოავლინა რამდენი სახის

გაკეთება შეიძლება“?
„ტიპები დემოკრატიას აწვე-

სმის გაგონებაზე შეშინებული

რუს წარმომადგენელი, რუს ავიაპროექტორი

რუსეთ-საბრტყილის ომის მეორე წლისთავთან დაკავშირებით თბილისის დამოკიდებულება მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობის საკითხზე ცვალებადობა დაიწყო. ამ ურთიერთობათა აღდგენის მიზანშეწონილობის შესახებ ამ დღეებში განაცხადებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. საუბარი იმის შესახებ, რომ ამ პრობლემის გარეშე „იკუბირებული ტერიტორიების“ პრობლემა ვერ გადაიჭრება საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ „ვერ გაიგონა“, და ქვეყანა მოიცვა ბრალდებებმა გამყიდველობაში.

მეორე გიორგი ბარამიძემ მოუწოდა ხელისუფლებას — „ნუ გასწორავთ ქვეყნის ინტერესებს... და კარგად გაიაზრონ ის პასუხისმგებლობა, რაც მათ ეკისრებათ, და გაითვითცნობიერონ, რომ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი მიმდინარეობს რუსეთის ინიციატივით და ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია გრძელდება“. „თუ ხელისუფლების ამჟამინდელი პოლიტიკა გაგრძელდება, საქართველო წაგებული აღმოჩნდება“, — შენიშნა ბარამიძემ.

**სააკაშვილი
დალატში
სამღვდელმთავრს
სდებს ბრალს**
ქართველმა პოლიტიკოსებმა კვლავ დაიწყეს სამოქალაქო გამყიდველობა ქაზან



მა. თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ ეს უნდა გაკეთდეს წინაპირობებისა და ურთიერთბრალდებების გარეშე, რათა გაიხსნას ველი მოლაპარაკებებისთვის.

„როდესაც ქვეყანაში, მთავრობა და სამღვდელმთავრობაში ამდენი მოლაპარაკება განა ეს საფრთხე არაა?... მე ვაცხადებ, არ მომწონს პატრიარქის ვიზიტი რუსეთში. ძნელია ამის ყურება. მაშინვე, რომ ისინი შეეცადონ, დაიწყოთ დიპლომატიური ჩვენი ქვეყნის მტერთან“, — თქვა გივი თარგამაძემ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მეორე ცნობილი წარმომადგენელი, დეპუტატმა გივი თარგამაძემ, რომელსაც, როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციის სამართალდაცვი ორგანოები ბრალს სდებენ რუსეთის ოპოზიციის დაფინანსებაში, ადგილობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში სხვა საკითხებთან ერთად ისაუბრა „საქართველოს შინაგანი მტრების“ თემაზეც.

„თუ არ იქნება დიალოგი, ჩვენ ვერ შევძლებთ საფუძვლიანად განვიხილოთ ვერც ერთი საკითხი, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემაც.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის მომხრეებს მოუწოდეს „ნახონ მედვედევის ექსკლუზიური ინტერვიუ ტელეკომპანია „რუსთა-ვი-2“-თან, რომლის ჩვენებაც გაიმართება სამშაბათს საღამოს და, ბოლოს და ბოლოს, გაიგონ, თუ აქამდე არ გაუგიათ, „ვინ ვინაა“.

ამიჯომ დიპლომატიური ურთიერთობანი უნდა აღდგეს წინასწარი პირობებისა და დათმობების გარეშე“, — მიაჩნია თეა წულუკიანს. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ მცოცავი ანექსია რასაც რუსეთი ახორციელებს, როდესაც მათ თულხლართების ღობეების საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში გადმოაქვს, ეს რეალობა და მას ვერ შეცვლის რომელიმე სახელმწიფო. მინისტრს ეტყობა, მხედველობაში ჰქონდა, რომ თბილისმა ყველა თავისი პრობლემა უნდა გადაწყვიტოს თავად და არ ჰქონდეს იმედი, რომ მის მაგივრად ამას ვინმე სხვა გააკეთებს.

სხვათა შორის, ანონსმა რუსეთის პრემიერის ინტერვიუს შესახებ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში რუსეთის ფედერაციის სათავეში იყო, თბილისში აუიოტაჟი გამოიწვია. ლამის თავბრუდამხვევი ვარაუდით იმის შესახებ, რომ დიმიტრი მედვედევს შეუძლია თქვას რაიმე დამამიმედებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, რადგან ცოტა ხნის წინათ „რაშია ტუდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ასეთი სცენარიც კი დაუშვა: „თუ ამაზე იქნება აფხაზი და ოსი ხალხების ნება“. მაგრამ გათვითცნობიერებულმა წყარომ ჩვენს გაზეთს აცნობა: „ჩემი მონაცემებით, არაფერი ამის მსგავსი რუსეთის ლიდერებისგან ჩვენ არ გაგვიგონია და ეთერშიც ამას ვერ იხილავთ, ამიტომ სენსაციულების მოყვარულებს განვიხილავთ დარჩებიან“.

ამავე დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა მზადყოფნის შესახებ, შეხვედეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს მან იქვე შენიშნა, რომ „ეს არ არის შორეული, მაგრამ არც ძალიან ახლო პერსპექტივაა...“ „ამჟამად შეხვედრისთვის არ არის საფუძვლები. იგი მოითხოვს მეტ პოზიციას, მეტ დროს. ჩვენი მხრიდან არის მზადყოფნა ამისთვის და სურვილიც“, — თქვა პრემიერმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივაში აუცილებლად იქნება მონესრიგება.

საქართველოს ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, როდესაც ქვეყანაში სიტუაციას უკეთებდა კომენტარს, პოლიტიკოსებს მოუწოდა, მოუსმინონ ილია მეორეს: „თუ კათოლიკოსს მიაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია რუსეთთან მოლაპარაკების გარეშე, ეს უნდა მივიღოთ მხედველობაში“. შევარდნაძეს მიაჩნია, რომ პატრიარქის კრიტიკა სააკაშვილის მხრიდან შეურაცხყოფელია. „მან დაუშვა პირდაპირი შეურაცხყოფა — თუმცა არ ვიცი, განზრახვით თუ არა... სამშობლოს ღალატი ეწოდება დანაშაულს რომელიც ვლინდება მოქმედებაში რაც შეგნებულად მიმართულია სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ, და არა ის, თუ დაკარგული ტერიტორიების აღდგენისთვის აკეთებ ყველაფერს, რაც შეგიძლია“, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ. მისი აზრით, შინაპოლიტიკური დაპირისპირება, რაც პროუფენელ შეხლა-შემოსლას ვლინდება ხოლმე ყოფილ და ამჟამინდელ ხელისუფლებას შორის, გაგრძელდება კიდევ რამდენიმე თვე — პრეზიდენტის არჩევნებამდე რომელიც 27 ოქტომბერს გაიმართება.

დედამიწის ზურგზე



ობამამ განაცხადა, რომ განვიღებოდა რუსეთის მიერ სოფლისა და ტყეების დაზარალების შესახებ შეთანხმებას, რათა დაეხმარებოდა მათ, ვინც დაზარალებულია.

მოსკოვში, ანის შესახებ არაფერი უთქვამს ობამას სიტყვებით მოსკოვის გადაწყვეტილება, შეიფაროს ექსპანსიური მოწოდებები რუსეთისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობებში გარკვეული პრობლემების არსებობას.



აშშ-ში ასაპარტოებენ მუსლიმან სახმადრთველს, რომელმაც 13 კაბი დახვრიტა, მდილობა დაეხმარებინა სრულყოფილი რელიჯია

მკვლელობათა გარდა ყოფილ სამხედრო ფსიქიატრს მაიორ მალიკ ნიდალ ჰასანს ბრალი ედება კიდევ 32 თავდასხმაში. მას სიკვდილით დასჯა ემუქრება. მუსლიმანმა აღიარა, რომ იცავდა თალიბებს. მას გაასამართლებს ქალი. განაჩენის სისრულეში მოგვანის ლოდინი, ეტყობა, დიდხანს მოგვიწევს.

აპირსტანში ბარაკ ობამას ავტობუსის 13 მგზავრი დახვრიტეს და ააფეთქეს საბავშვო საუნახურთო მანქანი

აფეთქება მინდორზე თბილისის დროით 3 საათსა და 40 წუთზე მოხდა, როდესაც ადგილობრივმა საბავშვო გუნდებმა დაიწყეს მოედნის დატოვება მატრის დამთავრების შემდეგ. დაიღუპა სულ ცოტა 11 კაცი, კიდევ 24 დაიჭრა. პოლიციის მონაცემებით, აფეთქების მსხვერპლთა უმრავლესობა 12-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვებია.



ფეხბურთი



სადაც არაფერი გვესაქმება

რბლზე გვიჭირს - თბილისის „დინამო“ ბუქარესტში ფრედ - 1:1 და-ასრულა ჩემპიონთა ლიგის III საკვალიფიკაციო რაუნდის საბასსო მატჩი „სტიაუასთან“ და თავანუელმა გადამინაცვლა ვეროპის ლიგაში. ვითომ?

ჩოგბურთი

ტატიშვილმა იანკოვიჩს არაფერი დაუთმო, თუმცა...

ანა ტატიშვილმა მიმდინარე სეზონში ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და გამოცდილ ელენა იანკოვიჩს ორსაათნახევარი ებრძოლა, თუმცა „როჯერს ქაფს“ (საბრიზო ფონდი 2 369 000 დოლარი) პირველ წრეში დასაწაი

მატჩი განიცადა - 6:7 (6:8), 6:4, 3:6. შეგახსენებთ, რომ ქართველმა ჩოგბურთელმა კანადის ქალაქ ტორონტოში მიმდინარე პრესტიჟული ტურნირის საკვალიფიკაციო ბადე მალაინ იოლად დაძლია, რაც იმის დასტურია, რომ საკმაოდ კარგი კონდიციები „აქრიფა“.

აღნიშნული იანკოვიჩთან მატჩში დამტკიცდა, რომელშიც ანამ საკმაოდ აგრესიულად და შემტევ სტილში ითამაშა და მეტოქის მონოდება ერთბაშად მჯერ მოიგო, თუმცა საკუთარი მონოდება 9-ჯერ დათმო და მიუხედავად იმისა, რომ სერბმა 10 ორმაგი შეცდომაც დაუშვა (ტატიშვილს 6 ჰქონდა), ნაგებას ვერ გადაურჩა.

საპატიო მისია

ლევან ცაგურის „საქართველოს ტურიზმის საპატიო წარმომადგენლის“ ფორუმს მიენიჭა

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი სიგუამ იაპონიაში მცხოვრებ წარმატებულ და პოპულარულ სუმოისტ ლევან ცაგურისას „საქართველოს ტურიზმის საპატიო წარმომადგენლის“ წოდება მიანიჭა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, ღონისძიება საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალ ინიციატივას უკავშირდება, რაც მიზნობრივ ქვეყნებში „საქართველოს ტურიზმის საპატიო წარმომადგენლების“ დანიშვნას გულისხმობს. წარმომადგენლების ძირითადი მისია საქართველოს ცნობადობის გაზრდა და ქვეყნის ტურისტული იმიჯის პოპულარიზაცია იქნება.

ღონისძიებას იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ტომოი კაიტანი დაესწრო.

„ლევან ცაგურია იაპონიაში ცნობადი და წარმატებული სპორტსმენია, რომელიც სრულყოფილად გააცნობს იაპონელ ხალხს საქართველოს ტურისტულ პოტენციალს. ჩვენ „ყატარის ავიასაზებთან“ ერთად ვაპირებთ სერიოზულ მუშაობას იაპონიის მიმართულებით, ერთობლივ მარკეტინგულ კამპანიას, რაც გულისხმობს თბილისი-დოჰა-ტოკიოს რეისის მეშვეობით იაპონიიდან ერთობლივ მედიატურების განხორციელებას.“ - განაცხადა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი სიგუამ. ლევან ცაგურისას „საქართველოს ტურიზმის

ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლის“ წოდების დამადასტურებელი შესაბამისი მოწმობა გადაეცა.

„ჩემი იაპონიაში მოღვაწეობის 15-წლიანი გამოცდილება მაძლევს საშუალებას წარმოვჩინო ჩემი ქვეყანა და ვიზრუნო საქართველოს ტურისტული იმიჯის შექმნაზე იაპონელებთან“, - განაცხადა ლევან ცაგურამ.

საქართველოში იაპონელი ვიზიტორების სტატისტიკა წლიდან წლამდე 30%-ით იზრდება. იაპონელები მსოფლიოში მაღალი ხარჯვის უნარიანობით გამოირჩევიან და ნებისმიერი ქვეყნისთვის სასურველი ტურისტები არიან. საქართველოს ისინი უმეტესად ორგანიზებულიად სტუმრობენ, რაც მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ტურისტული კომპანიებისათვის.

საქართველო ყოველწლიურად მონაწილეობს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „ჯატა“, ამასთანავე აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო ორგანიზაცია „სუამის“ ტურისტული პროექტის ფარგლებში იაპონიის ბაზრისთვის საერთო ტურისტული პროდუქტის შემუშავების პროცესში. 2013 წლის 7 თვის მონაცემებით, იაპონიიდან საქართველოში 2681 ვიზიტორი შემოვიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 62% -ით აღემატება.

პაუან დოლიკა

რალი

ოქიემ ტიბულისკან მორიბი ნაბიჯი გადადგა



წინა წლის მორიბი ეტაპი ფინეთში მოიგო და კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა სანჯევარ ტიტულს, რომელსაც ცხრა წელია არავის უთმობდა მისი ლეგენდარული თანამემამულე სებასტიან ლოეტი. სეზონის დასრულებამდე სუთი ეტაპით ადრე ოქიემ 90 ქულას უტეხს უახლოეს მდევრებს, ფინელ თანაგუნდელ იარიმატი ლატვალას და ბელგიელ ტიერი ნოივილს.

ოქიემ ფინეთთან 36.6 წამით აჯობა ნოივილს და მიმდინარე სეზონში მეხუთე გამარჯვება იზეიმა. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ოქიემ გახდა სულ მეხუთე არასკანდინავიელი მრბოლი, ვინც ათასი ტმის რალიზე (ფინეთის რალი ამ სახელითაა ცნობილი) გამარჯვება შეძლო.

„ჩემი ოცნება იყო აქ გამარჯვება და დღეს ეს ოცნება ავისრულე. ფინეთში გამარჯვება და ამისთვის მიღებული ბლომად ქულები - ამაზე უკეთესს ვერც ვინატრებდი“, - განაცხადა ფრანგმა. მხოლოდ მესამე ადგილი ერგო სკანდინავიელ მრბოლს, მაგრამ კვარცხლბეკზე ფინელი არ ასულა - მესამე ადგილი ნორვეგიელმა მადს ოსტბერგმა დაიკავა, ვისაც თითქმის ნახევარი წუთით ჩამორჩა ფინელი მიკო ჰირვონენი.

აღსანიშნავია, რომ პირველი დღის შვიდი სვეტმონაკვეთის განმავლობაში მრბოლას ოთხი ლიდერი ჰყავდა, ერთ მომენტში კი მონაწილე კვარტეტს მხოლოდ 11 წამი აშორებდა. ოქიემ გადაამყვებ უპირ-

ადაცობას მრბოლის მეორე დღეს მიიღწია და ლიდერობა აღარც დაუთმო.

სამაგიეროდ, უშეღავთო პაექრობა მეორე ადგილისთვის გაჩაღდა, რომელშიც საბოლოოდ უპირატესობას „ფორდ ფიესტაში“ მოასპარეზე მრბოლებმა მიიღწიეს, რომლებმაც ბოლო სვეტმონაკვეთებზე რამდენჯერმე გაცვალეს ადგილები. ბოლოსწინა სვეტმონაკვეთზე კი, როცა მანქანა ლოდს მოარიდა, ოსტბერგი დატრიალდა და ამ დროს დაკარგული წამები მეორე ადგილად დაუშვა.

„წარმოუდგენელი გრძნობა დამეუფლა. შესანიშნავად ვიმუშავეთ. გუშინ დრო დაკარგე, როცა საბურავი დამიზიანდა, მაგრამ სხვა მხრივ პრობლემები არ მქონია. მრბოლის დამწყებად ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასეთი შედეგი მექნებოდა“, - განაცხადა ნოივილი.

ფინეთის რალის შედეგები

- 1. სებასტიან ოქიემ (საფრანგეთი, „ფოლკსვაგენი“), 2:43:10.400, 2. ტიერი ნოივილი (ბელგია, „ფორდი“), (00:36.600, 3. მადს ოსტბერგი (ნორვეგია, „ფორდი“), 00:57.600, 4. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, „სიტროენი“) 01:21.600, 5. დანიელ სორდო (ესპანეთი, „სიტროენი“) 06:08.500.

როსტომ რაჭველიშვილი



ინტერნეტიდან

პაციენტები გაქურდვის

იტალიის ნაკრების თავდამსხმელი ჯამბალო პაციენტი და მისი მეუღლე, მოდელი სილვია სლიტი მძარცველების მსხვერპლი აღმოჩნდნენ. როგორც ქალბატონი სილვია ირნმუნება, მათ სახლში ღამით ქურდები შეიპარნენ და რამდენიმე ძვირფასი ნივთი გააყოფეს ხელს.

დაკარგულ ნივთებს შორისაა ბრილიანტის საყურეები, რომელიც ჯამპალომ სილვიას სიყვარულის ნიშნად აჩუქა. ამ საყურეების ღირებულება 14 ათასი ევროა,

30 თებერვალი

საქართველოს საგანგებო კონსულის დადგენილება...

თის ეროვნულ სააგენტოს ხორცი...

ბებში ან რაღაცით დაინტერესებულა...

უძველესი უმცირესობის ნაცვლად - პიარაქცია?



დაპირისპირება ხორცპროდუქტების კონტროლის გასარკვევად

2013 წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს...

სასურსათო კვებვის სადაც კვებვის ფუნქციონირების...

პროდუქტებზე ლაბორატორიული კვლევის ჩატარება...

ლობის სააგენტოს წარმომადგენელს აუცილებლად უნდა...

იკა ბაქრაძე

ალიან-ჩალიან

პარლამენტარები გადაილაღნენ...

გაუშვეს პარლამენტში რიგგარეშე სესიის ფორმატში...

საშემოდგომო სესია სექტემბრის პირველ სამშაბათს...

ამასთან, საგარეუროდ, პარლამენტი საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე მუშაობას შეაჩერებს...

საგადასახადო ორგანიზაციის მიმართ ქალაქობაზე სამართლებრივი ზომები გატარდება

შემოსავლების სამსახური საგადასახადო მონიტორინგის ოფიცრების მიმართ...

კონფლიქტი საგადასახადო მონიტორინგის ოფიცრებს შორის...

დღეის პირველი შემთხვევა არ ყოფილა. ორი მათგანისათვის მიზეზი ჩვეის ამოურტყმელობის...

მისივე თქმით, მენარმის ინტერესებიდან გამომდინარე 2013 წლის I იანვარს ძალაში შევიდა...

ჩვეის ამოურტყმელობისათვის წლების განმავლობაში არსებული 500-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად შედგათიანი...

მისივე განმარტებით, შემოსავლების სამსახურს ვალდებულდება აქვს...

საგადასახადო ორგანიზაციის მიმართ სამართლებრივი ზომები გატარდება

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ კანონებში...

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფესიული კავშირი...

საქართველოს ენერჯეტიკის მუშაკთა პროფკავშირის აპარატის თანამშრომლები...

გარდაცვალების გამო და თანაუგრძობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

საქართველოს ენერჯეტიკის მუშაკთა პროფკავშირის აპარატის თანამშრომლები...

ინფორმაცია

დავნილი „მომავლის ბანაკში“ დაიხვეწებიან

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით...

პროექტი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს...

პარიკატირების თვალთ



რაღაც უნდათ ამით ზღვა, ქუჩაშიც კარგად რუჯდებიან. ამირან ირეკლიძის ნახატი.

მმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლამდელი აღზრდის დასრულებულუბაში...

ამასთან, პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტით განისაზღვრა...

ასევე კანონში გაიწერა, რომ ისინი უნდა ასორციელებდნენ საგანმანათლებლო...

გარდა ამისა, ზემოთ აღნიშნულ ორ კანონში ჩაიწერა ისიც, რომ საბავშვო ბაღები უზრუნველყოფილი უნდა იყოს...

ინტერპრესი

ცხელი

პითი სანტანა, ანუ კიდე ერთი ვანო უოუ

დიხს, თბილისში საქართველოს ექსპრეზიდენტის დაბრუნების ამბავი უკვე მთავარ ტიტულს დასახელებულია...

რამესთან ერთად): ვანოს სახანავად თურმე ახლობლებს არ უშვებენ...



მიუსაჯოს. ისე გაამართლებს, როგორც კოტეს დაუბარებია. არ გაამართლებს და, პრეზიდენტი...

პირდაპირი პოლიტიკა

ჩვენი პრესდაიჯესტი

კაპიტალიზმის გზისკენ



„ივანიშვილის ხათრით პლასტიკის კაცს პრეზიდენტად ვერ აპირებთ“

ბრ მალავს პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი...

ჯანდაცვის მინისტრი მინიშნავს აპირებებს

მიღის მსჯელობა მინიშნავს აპირებებს კონცეფციის შემოღებაზე. ეს საერთაშორისო კონცეფციაა...

სიმთვრალეზე შიმოშობის თამის პრიფიციის

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდამცავთა კოდექსის“...

რა მოხდეს პესების მშენებლობას

თუ გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს ომარ ქუცნაშვილს ვენდობთ...

დაიჯესტი

მინისკვება პლანტაცი

იტალიის პოლიციამ მარინუანის მწარმოებელი დიდი ლაბორატორია აღმოაჩინა. საგულისხმოა, რომ შავი ბიზნესისთვის ნედლეული ნარკოსაქმოსნებს...



ანათებდნენ, გვერდით დარბაზში მოსავალს საგანგებო მონიტორინგებით აშრობდნენ...

იყო შენიღბული, კარებს იქით კი, მთელი გვირბის სიგრძეზე, იატაკზე ძველი CD-დისკები იყო დაყრილი...

ვერსხლი... ოქანის ფსკარიდან

ცოტა ხნის წინათ ამერიკული ფირმის „ოდისეი მარინ ექსპლორეიშის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა...

ცინცხალი ანაკლოტები

შურნალის რედაქტორისთვის გაგზავნილი მკითხველის წერილიდან: „თქვენნი კროსგორდები თელავენ ჩემს ადამიანურ ღირსებას...“



— არა, ცხადია! მაგრამ მათი წყალობით თქვენს ცოლსაც თქვენთან ერთად დაეძინება.

პაღრი



ავტორთა საშუალოდგომად რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი შპს „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი

გამომცემელი: შპს „თანამდებობა-1“ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი

ISSN 2233-3651

მორიგე პასუხისმგებელი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია

რედაქტორთა საბჭო: ალექო ალანაშვილი 599 56-81-86